ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N76

2018 წლის 10 მაისი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №463 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03 აპრილის N01/3590 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №463 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების პროგრამაში“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ.წულუკიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა

2018 წელი
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი

" 1 იანვარი" 2018 წ.
" 31 დეკემბერი " 2018 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

31000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი	31000	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/ და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე 130 ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის მატერიალურ დახმარებას. ქობულეთის ტერიტორიაზე არსებულ რეაბილიტაციის ცენტრებში რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ბენეფიციარებისათვის თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში თანხა გაიცემა მოჭრით - ერთ ბენეფიციარზე (თანმხლებ პირთან ერთად) 8 ლარი ერთ ვიზიტზე. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა , უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისა და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე რეაბილიტაციის ცენტრებში რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად მოხდება საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში თანხა გაიცემა მოჭრით - ერთ ბენეფიციარზე (თანმხლებ პირთან ერთად) 8 ლარი ერთ ვიზიტზე.	ბენეფიციართა რაოდენობა ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. **პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	განცხადების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. **პროგრამის ბიუჯეტი**

ა)პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ

1	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	31000			31000
2	დამატებითი					0
	სულ		31000	0	0	31000

ბ)პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

2018 წელი	
	სოციალური უზრუნველყოფა
ბავშვთა აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხარჯები დაბის, თემისა და სოფლების მიხედვით	

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	სამედიცინო დაწესებულებაში ერთი ვიზიტის მგზავრობის თანხა ერთ ბენეფიციარზე თანმხლებ პირთან ერთად
1	ქ. ქობულეთი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	4,00
2	ჩაქვი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,00
3	სოფ.ქობულეთის ადმინისტრაციული ერთეული - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00
4	აჭყვისთავი, ზენითი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00
5	ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეული - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,00
6	ხალას ადმინისტრაციული ერთეული -შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,00
7	ჩაისუბანი - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	4,00
8	საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	2,80
9	ბუკნარი, სახალვაშო - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	4,00

10	კვირიკეს, გვარას , ალამბრის ადმინისტრაციული ერთეულები - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	7,20
11	ხუცუბნის ადმინისტრაციული ერთეული, მუხაესტატე, - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	6,00
12	დაგვა, ჭახათის ადმინისტრაციული ერთეული, ლეღვას ადმინისტრაციული ერთეული, წყავროკა, ქაქუთის ადმინისტრაციული ერთეული - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00
13	დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეული - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	8,00
14	ბობოყვათის ადმინისტრაციული ერთეული - შ.პ.ს. „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ბენეფიციარი	6,00
15	ხალას ადმინისტრაციული ერთეული, ხაჩინოს ადმინისტრაციული ერთეული - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	6,00
16	დაბა ჩაქვი - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	3,20
17	სოფ. ჩაისუბანი - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	4,00
18	სოფ. სახალვაშო - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	4,00
19	ქ. ქობულეთი, მუხაესტატე, კვირიკეს ადმინისტრაციული ერთეული, ხუცუბნის ადმინისტრაციული ერთეული, ალამბარი, კონდიდი - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	2,00
20	აჭყვისთავი, დაგვა, ზენითი, სოფ. კოხი, ჭახათი, ლეღვა, წყავროკა - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	4,00
21	გვარა, ოჩხამური, სოფელ ქობულეთი, ზედა სამება, ციხისძირი, ბუკნარი - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	2,80
22	ქაქუთის ადმინისტრაციული ერთეული - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	6,00
23	ბობოყვათი - ქ. ქობულეთი	ბენეფიციარი	3,20
24	ქობულეთის მუნიციპალიტეტი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე სამედიცინო დაწესებულება	ბენეფიციარი	8,00

დამატებითი ინფორმაცია

ა)დახმარების გაცემა მოხდეს 2018 წლის იანვრის თვიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით.

ბ) მერიას უფლება აქვს ცალკეული კვარტლების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში მერიის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური დაყოფა.

დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 7 750 ლარი; II კვარტალი 7 750 ლარი;
III კვარტალი 7 750 ლარი; IV კვარტალი 7 750 ლარი.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

წარმოსადგენი დოკუმენტები:
1. განცხადება მერიის სახელზე;
2. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
3. მშობლების ან მეურვის პირადობის მოწმობების ასლები;
4. ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ვაუჩერი (ასლი) ან/და სამედიცინო დაწესებულებიდან ბენეფიციარის მიერ რეაბილიტაციის კურსების ჩატარების დამადასტურებელი რეესტრი;
5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილობითი ინფორმაცია ბენეფიციარის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით.

გ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე გაწეული მომსახურების დამადასტურებელი რეესტრის ან/და ბენეფიციარის მშობლის ან მეურვის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიმართავს მერს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მერიის საფინანსო სამსახური მერის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს შესაბამის ანგარიშზე თანხას.

დ)პროგრამა ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ „ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის“ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისა და თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯებს დაბისა და სოფლების მიხედვით, საცხოვრებელი ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებამდე და სამედიცინო დაწესებულებიდან საცხოვრებელ ადგილამდე.